№ 132 ივნისი 25 ხუთშაბათი 1892 ივნისი 25, ხუთშაბათი № 132

„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძმების პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

შაბათს, 4 ივნლსს, გენერალ-მაიორის **თავადის ნიკოლოზ მერაბის ძის ჩიქოვანის** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც ქვრივი მისი, კნეინა ელისაბედ გიორგის ასული ჩიქოვანისა აუწყებს განსვენებულის ნათესავთა, ნაცნობთა და თანამსახურთა და სთხოვს მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზედ დასასწრებლად. (1—1)

## განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1892 წლის პირველის ენკენისთთვიდგან იხსნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში (რომელიც შესდგება ამ ჟამად ოთხის მოსამზადებლის და სამის პროგიმნაზიულის კლასისაგან) მეოთხე პროგიმნაზიული კლასი.

სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასისათვის, რეალურ სასწავლებლის პირველის კლასისათვის, და კორპუსისათვის. ქართულს ენას გარდა, სკოლის პროგრამა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამას.

მომავალ ენკენისთთვისათვის სკოლაში არის სულ 50 ვაკანსია: პირველს განყოფილებაში — 29, მეორე განყოფილებაში — 8, მესამე განყოფილებაში — 4, მეოთხე განყოფილებაში — 2. და პირველს კლასში — 7. დანარჩენ კლასებში არ არის ვაკანსია.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან (50) ორმოც-და-ცხრა (49) დანიშნულია გარედგან მოსიარულეებისათვის და ერთი (1) პანსიონში შემომსვლელთათვის. ეს ერთი ვაკანსია, გამგე კომიტეტის გარდაწყვეტილების თანახმად, ეკუთვნის ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობას, საიდგანაც მიღებულ იქმნება ერთი ღარიბ თავად-აზნაურთაგანი საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

რაიცა შეეხება იმათ, ვისაც სრულს საკუთარს ხარჯზე სურს შემოსვლა პანსიონში ან ნახევარს ხარჯზე (პირველნი იხდიან წელიწადში ოც თუმანს და მეორენი—ათს), წელს სკოლის მთავრობა, სამწუხაროდ, ვერ დააკმაყოფილებს მათს თხოვნას, რადგან ამ ჟამად პანსიონში ყველა ვაკანსიები დაჭერილია, გარდა ერთისა, რომელიც, როგორც მოხსენებულია ზემოდ, დაინიშნა ტფილისის მაზრისათვის. მსურველთ შეუძლიანთ შემოვიდნენ სკოლაში მხოლოდ გარედგან მოსიარულეებად, რომელთათვის დანიშნულია 49 ვაკანსია.

თუ ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ მარიამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში და ან ენკენისთვის განმავლობაში განთავისუფლდა რამდენიმე ვაკანსია, მაშინ კიდევ შეიძლება მიღებულ იქმნას პანსიონში იმდენი მოწაფე, რამდენიც ვაკანსია დაიცლება.

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ განყოფილებაში | მიიღებიან ყმაწვილები | არა უმეტეს | 8 წლისა. |
| მეორე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 9 წლისა. |
| მესამე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 10 წლისა. |
| მეოთხე განყოფილებაში | „ „ | არა უმეტეს | 11 წლისა. |
| და პირველს კლასში | „ „ | არა უმეტეს | 12 წლისა. |

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკას მოწმობა, რომლის ბანკის დამფუძნებელთაგანია და აგრეთვე მაზრის მარშალისაგან სიღარიბის მოწმობა. ესევე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზედ შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება დღიდგან გამოცხადებისა მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной, въ д. Гургенбекова.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 26 რიცხვიდგან და გაგრძელდება პირველს სექტემბრამდის.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანეთია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერი მოვალეა დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარი იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, რომ მათი შვილები სუფთად იყვნენ ჩაცმულნი თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არა სცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერი ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარმოადგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ მოწაფისა, რომელსაც ჰთავდებობს.

(4—1)

## ახალი ამბავი

*** 22 ივნისს დილით ტფილისის სამკურნალოში ხოლერით ავად იყო 4, დღისით მიიყვანეს კიდევ 2. 23 ივნისის წინა-ღამეს კიდევ მიიყვანეს 1. გარდაიცვალა 1. სამკურნალოში იმყოფება 6.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 20 ივნისს ქ. შუშაში სამკურნალოს გარეშე ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, ერთი მათგანი ქ. შუშას მკვიდრი მცხოვრებია. სამკურნალოს გარეშე ავადმყოფია 6, სამკურნალოში 5. ჯევანშირის მაზრის სოფ. ალფოუთში ავად გახდა ხოლერით 4, ამათში გარდაიცვალა 1.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 21 ივნისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 40 ხოლერით ავადმყოფი. ამავე დღეს სამკურნალოში გარდაიცვალა 16, კარგად გახდა 7, სამკურნალოში იმყოფება 154. სამკურნალოს გარეშე 21 ივნისს გარდაიცვალა 90. ბაქოს საპატიმროში გარდაიცვალა 2. ყუბას ახლო გარდაიცვალა 3 კაცი და ავად გახდა 1 ქალი. სხვა ადგილებიდგან ჯერ ცნობები არ მიუღიათ.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: შუშას მაზრაში სოფ. ქეშიკენტში 19 ივნისს ავად გახდა 2. ჯევანშირის მაზრის სოფ. ალფოუთში გარდაიცვალა 2. სოფ. ბალახმედლაში 20 ივნისს ავად გახდა 2 და ორივე მეორე დღეს გარდაიცვალა. განჯის მაზრის ანნენფელდის კოლონიაში ავად გახდნენ ბაქოდგან ჩამოსულნი გერმანიის ქვეშევრდომნი ცოლ-ქმარი. ცოლი 19 ივნისს გარდაიცვალა, ქმარი-კი 20 ივნისს. განჯის სადგურზედ 21 ივნისს ავად გახდა ბაქოდგან მოსული დურგალი ულიანოვი. მთელს გუბერნიაში ხოლერით ავადმყოფია: ქ. შუშას—11, შუშას მაზრაში—2, ჯევანშირის მაზრაში 1, განჯაში—1, სულ 15 ავადმყოფი.

*** დაღესტნის ოლქის გუბერნატორი იუწყება: 21 ივნისს პეტროვსკის სამკურნალოში გარდაიცვალა 1. კიურინის ოლქში ხოლერით ავად გახდა სამი, გარდაიცვალა 2. კაიტაგო-ტაბასარანისა და დარგინის ოლქებში ავად გახდა 4 და ერთის დღე-ღამის განმავლობაში გარდაიცვალა 3.

*** 23 ივნისს მისმა მაღალ აღმატებულებამ, კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლემ ევდოკია ბორისის ასულმა შერემეტიევისამ დაათვალიერა ტფილისის მიხეილის სამკურნალო და ნახა ხოლერით ავადმყოფნი, გასინჯა როგორ უვლიან და ნუგეში სცა, კარგად იქნებითო. შემდეგ გასინჯა მიკროსკოპიული პრეპარატები, ხოლერის ბაცილების გამოსაკვლევად მომზადებული. მისმა მაღალ აღმატებულებამ 2 საათამდე დაჰყო სამკურნალოში და შემდეგ შინ წაბრძანდა.

*** სამშაბათს, 23 ივნისს, ტფილისიდგან ბაქოში გაემგზავრა ხოლერის წინააღმდეგ ღონიაძიებათა მისაღებად კავკასიის სამედიცინო ნაწილის მმართველი დ. ს. ს. გლავაცკი.

*** 23 ივნისს ტფილისზედ გაატარეს მატარებლით ბაქოდგან რუსეთში მიმავალი 410 კაცი. ეს მუშა ხალხი თავისს სამშობლოში მიემგზავრება სამარისა და სიმბირსკის გუბერნიებში. ხალხი ცალკე მატარებლით მიჰყავდათ. პოლიცმეისტერის განკარგულებით. მატარებლიდგან სადგურზედ არავინ გამოუშვიათ. მუშათა შორის ერთი საეჭვო ავადმყოფი აღმოჩნდა, რომელიც სამკურნალოში გაჰგზავნეს და ვაგონში დეზინფექცია მოახდინეს. შემდეგ დილის 8 საათზედ მატარებელი ბათუმში წავიდა („Кавказъ“).

*** 22 ივნისს სასამართლოს მეორე განყოფილებაში მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე პეტრე ხოსროევისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ თავისს სახლს უსუფთაოდ ინახავდა. მომრიგებელმა მოსამართლემ გადასწყვიტა დააჯარიმოს 100 მანათით და თუ ვინიცობაა შეუძლებელი აღმოჩნდა, 20 დღით ციხეში დააპატიმროს. ამასთანავე ხოსროევს დაევალა, რომ სამის დღის განმავლობაში გაასუფთაოს სახლის ეზო და ფეხის ადგილები.

*** ტფილისის ქალაქის მოურავმა პოლიცმეისტერს გაუგზავნა 100 აბგა პოლიციის მოხელეთათვის დასარიგებლად. აბგებში პატარა შუშებია ჩაწყობილი, ვალერიანისა, ინოზემცევისა და გოფმანის კაპლებით და 60°/₀ არაყი. ამ აბგებს პოლიციის მოხელეთ დაურიგებენ და თანაც ასწავლიან, როგორ უნდა იხმარონ ეს წამლები ხოლერით ავადმყოფისთვის, ვიდრე მკურნალი მიეშველებოდეს.

*** დღეს, 25 ივნისს, დასრულდა ხოლერით ავადმყოფთათვის სამკურნალოს შენობა ტფილისის მეექვსე ნაწილში. ამ შენობაში 60 საწოლი იქნება ავადმყოფთათვის. სამკურნალოში დანიშნულია მკურნალი ისტამანოვი, ორდინატორები—ადამოვი, გონიევი და გულულიანცი, 8 ფერშალი, ავადმყოფების მომვლელი 7 ქალი, ერთი პროვიზორი, 7 მრეცხავი ქალი, ერთი მზარეული და 10 მოსამსახურე. ამ სამკურნალოს გარდა ხოლერით ავადმყოფთათვის კარავებს დასდგამენ: ავლაბრისა, ეგზარხოსისა, პანასეევსკისა, ვერისა და მეორე ავლაბრის მოედნებზედ. თითო კარავში 4 საწოლი იქნება ავადმყოფთათვის.

*** ქალაქის მოურავმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორსა და სთხოვა: დაავალეთ ქალაქის აფთიაქის პატრონებს, რომ აფთიაქში ხელოვნურად მომზადებული ყინული შეინახონ და მიჰყიდონ მსურველთ ფუთი 50 კაპეიკადაო.

ამასთანავე ქალაქის მოურავი აცხადებს, რომ ბ-ნ ვეტცელს პირობა მიუცია ქალაქისთვის ყველა აფთიაქებს თითონ მიუტანოს ყინული ფუთი 50 კაპ. და ამას გარდა თითო აფთიაქს ყოველ დღე 1 ფუთი ყინული უფასოდ დაუთმოს.

*** მკურნალთა გზავნა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა ხოლერით დაზარალებულ ადგილებში. ბ-ნმა გლავაცკიმ საგანგებო დეპეშით მოიწვია ტფილისში ახალგაზდა ექიმი ბ-ნი ბ. ბარამიშვილი და ამ დღეებში ისტუმრებს განჯას. რადგან თვით ბ-ნი გლავაცკი ტფილისში არ იმყოფება, მის მოვალეობას ასრულებს ექიმი უმისსა, რომელიც განაგებს, რა ადგილებში და სად უფრო საჭიროა ექიმების გაგზავნა.

*** რკინის გზის მმართველობა აცხადებს, რომ 28 ივნისიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მატარებლები №№ 47 და 48 აღარ ივლის. 29 ივნისიდგან ბაქოდგან საფოსტო მატარებელი ჩამოვა დილის $7^1/_2$ საათზედ და ბათუმისკენ წავა 9 საათსა და 30 წამზედ.

*** სამშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზედ, ბაქოში გაემგზავრა საგანგებო მატარებლით სახელმწიფო რკინის გზათა ინსპექტორი ინჟენერი გრაჩევი.

*** კავკასიის სამხედრო ოლქის მმართველობის საბჭომ 5,000 მანათი გადასდო სადეზინფექციო წამლების სასყიდლად. („Нов. Обоз.“)

*** კავკავის გზაზედ 23 ივნისს რამდენსამე ალაგას თოვლი მოვიდა და გზაში კარგადა ცივა.

*** ბაქო: 22 ივნისს ბაქოს რკინის გზის სამკურნალოში 11 ავადმყოფი იყო. გარდაიცვალნენ ხუთნი. გახდნენ ავად კიდევ ხუთნი.

*** იქიდამვე: სასაფლაოზედ, საცა ხოლერით მიცვალებულთ ასაფლავებენ, 50-მდე კუბოა დაუკრძალავი. საფლავის მთხრელები არ არიან. ცხედარნი ღვთის ანაბარად არიან დატოვებულნი სასაფლაოზედ.

*** ქულაში: 21 ივნისს გახდა ავად ჟანდარმი და მეორე დღეს გარდაიცვალა. იმ დღესვე დასტოვეს აქ მატარებელში ავად გამხდარი დედაკაცი და ისიც მეორე დღეს გარდაიცვალა.

*** აქსტაფა: 23 ივნისს დასტოვეს აქ საეჭვო ავადმყოფი ივანე მიმურინი. ამ მატარებელშივე გარდაცვ-

ლიქიყო პატარა ბავშვი, რომელიც აქ დასტოვეს დასასაფლავებლად.

*** ფოთი: ფოთის სისუფთავისა და მის ჰაერის გამარგებლიანებას მუდამ ყურადღება და ზრუნვა ეჭირვება. ჩვენი ქალაქი დაბლობი ადგილია, ჭაობიანი და ნესტიანი. წვიმების შემდეგ მუდამ გუბეები დგება, რომელიც მერე შმორდება და ჰშხამავს ჰაერს. მეტადრე ეხლა საჭიროა სისუფთავე და დაშრობა გუბე-ტბებისა. ამიტომაც დაფაცურდა ახლა ფოთი. ქუჩებზედ ზღვის ქვა მოაყარეს, ზოგიერთი ადგილები, როგორც მაგალითად ბაზარი, ეს შუაგული ქალაქისა, რომელიც ნაგვითა და უსუფთაობით იყო სავსე, ახლა გასუფთავდა. ქალაქის თვით-მმართველობა და პოლიცია შეუდგნენ თავიანთ საქმეს. შესდგა უკვე სასანიტარო კომისია, რომელმაც დაათვალიერა დუქნები, სახლის ეზო-ყურეები და, საცა-კი უსუფთაობა აღმოჩნდა, დაავალა მცხოვრებთ მათი მოშორება თავიდგან. სახლის პატრონები არა ზარობენ თავიანთ კარ-მიდამოს გვასა და წმენდას. თხრილებში წყალს აშრობენ, დაბლობებში ჰყრიან ნახერხს და მიწას, რომ გუბეები არ გაჩნდეს.

*** გორი: გორის სასანიტარო კომისიას ჯერ-ჯერობით ყურზედ სძინავს და, როდესაც თავზედ თითქმის უძლეველი მტერი დააწყდება, იქნება მაშინ გამოიღვიძოს. ქალაქის კარგ ქუჩებზედაც-კი, თუნდ, მაგალითად, ფრანგების ქუჩაზედ, რომლის მახლობლადაც სდგანან თვით სასანიტარო კომისიის წევრნიც, საშინელი უსუფთაობაა. ქუჩის აქეთ-იქით და შუაგულზედაც, წვიმის შემდეგ, დგება ნიაღვრის ტბორეები, რომელიც საშინლად ყროლდება... გარდა ამისა, ზოგიერთს თვით ქუჩა გამოუფუღრია ეზოდგან და ფეხის ალაგები ჩაუდგამთ. ამისთანა ადგილები ნამეტნავად სიცხეში ძლიერ სწამლავს ჰაერს.

*** თელავი: ჩვენნი თელაველნიც ემზადებიან ხოლერის დახვედრას. ამ დღეებში მაზრის უფროსმა მოიწოდა სამმართველოში თელავის მკვიდრნი, მისცა სიტყვიერი დარიგება და აგრეთვე სამკურნალო განყოფილების მიერ დაბეჭდილი დარიგებანიც. იქვე სასანიტარო დასი შეადგინა, რომლის წევრთ მიჩემებული აქვთ ის უბნები, რომლებშიაც თითონა სცხოვრობენ. დაწესებით-კი კარგა დააწესეს, მაგრამ ბოლოს როგორს გადევნებენ, ეგ არ ვიცით. ცოტა არ იყოს, თელავი იწმინდება ყველა იმ უსუფთაობისაგან, რომლითაც ეს რამდენიმე წელიწადია სავსე იყო. უსუფთაობის დასაყრელად ალაგები ქალაქ გარეთ აქვთ დანიშნული და შემდეგ მოგროვილი უსუფთაობა დაიწვის. თელავში ხმა დავარდა, ვითომ ყვარელში „ხოლერინა“ გაჩენილიყოს. ამას წინად ყვარლის მხრის სოფლები დაისეტყვა, ნამეტნავად ყანები. ზარალს დიდს ამბობენ.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი აცხადებს, რომ ქალაქის მმართველობამ 24 ივნისიდგან დაიქირავა ხუთი ეტლი ხოლერით ავადმყოფთა სამკურნალოში წასაყვანად. ეს ეტლები საგანგებოდ ხოლერით ავადმყოფთათვის არის დანიშნული და მუდმივ დანიშნულ ადგილას იდგებიან: ეტლი № 393—თათრის მოედანზედ, № 435—მეტეხის ციხის აღმართთან, № 448—ცირკის შენობასთან, № 459—კიროჩნი ქუჩაზედ გერმანელთა ეკკლესიასთან და № 460—თამამშოვის ქარვასლის მახლობელ ბაღთან. ამასთან ბ-ნმა პოლიცმეისტერმა მისწერა ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნეთ, რომ მეეტლეები დანიშნულს ადგილს არ მოშორდნენ.

*** გაზეთს „მშაკ“ სწერენ ერივანიდგან, რომ იქაური ქალაქის საბჭო დაესესხა ვაჰარს გეორქოვს 20,000 მანათს ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათათვის მოსახმარებლად.

*** გაზეთს „Т. Л.“ სწერენ ბაქოდგან: „ქალაქი დაცალიერდა. ყველა სცდილობს წასვლას. ქუჩები ცალიერია. მუშები, მექარხნეები, მეეტლეები, მეპურეები—ყველა გაიხვეტა. გირვანქა პური 6 კაპეიკია, ისიც ძნელად იშოვება. ხორცს სულ ვერსად იშოვნი. ყველაფრის სიძვირე ჩამოვარდა. გადაცვლილთა გვამი რამდენსამე დღესა ძევს დაუსაფლავებელი. საკომერციო და საურთიერთო ბანკის მოხელეთ სამსახურს თავი დაანებეს. მაღაზიები და დუქნები დაიკეტა. ერთ სტამბის დაკეტილს კარებზედ პატრონმა დასწერა: „მე მივდივარ და ვინც აქა რჩებით, ღმერთმა კარგად გამყოფოთო“.

*** გაზეთი „Бирж. Вѣд.“ იუწყება: ამ ჟამად უკვე დამტკიცებულია კახეთისა, შემახიისა და გეოგჩაის რკინის გზის შტოების გაყვანა. ამას გარდა, განზრახვა აქვთ რკინის გზის შტოები გაიყვანონ: ახალციხესა, ბაქოსა და პეტროვსკს შუა, ერივანსა და ტფილისსა ანუ ალსტაფას შუა, ბაკურციხესა და ნუხას შუა ზაქათალაზედ, სოხუმსა და ახალ-სენაკს შუა ზუგდიდის მაზრაზედ. ამბობენ, რომ ამ ადგილებში რკინის გზის გაკეთების საქმის გამოსაკვლევად ამიერ-კავკასიაში ჩამოვა სახელმწიფო რკინის გზათა მმართველობის თავმჯდომარე ბ-ნი ადადუროვი.

## მთავრობის განკარგულებანი

ქუთაისის ქალაქის მოურავად ნამყოფი, ნადვორნი სოვეტნიკი ასათიანი დანიშნულ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის სოვეტნიკად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ავადმყოფობის გამო განჯის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოხელე ლიპარ პულარია.

## გაკვრით

(გზა და გზა და სხვათა შორის)

ვერაფერი სტუმარი გვეწვია. სტუმარი ღვთისააო, მაგრამ ეს სტუმარი სწორედ ეშმაკისაა. მერე მაშინ გაჩნდა, როცა იმედი აქვს თავისა: ზაფხულში, პაპანაქება სიცხეში, სხვადა-სხვა ახალის ხილისა და მწვანილის დროს, მარხვაში. ყოველივე ესე აღდგომაა ხორველისათვის, სიცოცხლეა მისი. სიცხე ასუსტებს ადამიანს, აფუჭებს სანოვაგეს, აჩენსავს სუნს, სწამლავს ჰაერს. დასუსტებული ადამიანი ადვილად უვარდება ხელში ხორველას; უვარგისის სასმელ-საჭმელით მოშლილი სტომაქი ვეღარ გაუმაგრდება მის უჩინარს ჰიას და ხალხი იხოცება.

იხოცება უფრო ისეთი ხალხი, რომელსაც თავის მოსაფხანად არა სცალიან, მძიმე საქმეშია დილიდამ საღამომდე და თავის ფარეზობისა და პირის პატივში არცა ყოფილა და ვერც იქნება ხელ-მოკლეობის გამო. იხოცება გამრჯელი, მუშა ხალხი, სწორედ ის ხალხი, რომელიც თავის ოფლითა სჭამს ლუკმა-პურსა.

ცოდნა და მეცნიერება-კი გვეუბნება, რომ ხორველისთანა გადამდები და მოარული სენი ადვილი დასაძლევია, თუ გავუფრთხილდებითო. გაფრთხილებაშიაც თავი და თავი საქმე სისუფთავეა სახლ-კარისა, ჩასაცმელ-დასახურავისა, საჭმელ-სასმელისა და ისეთის ადგილებისა, საცა უსუფთაობა იყრის თავს. შემდეგ დიდად საჭიროა ზომიერება საჭმელ-სასმელში, ძილსა და სიფხიზლეში, მუშაობასა და ცუდაობაში. გადაჭარბებული არა ვარგა-რა არასოდეს და ხორველობის დროს ხომ მომაკვდინებელია. ხორველობის დროს არც მეტი სმა-ჭამა ვარგა, არც მეტი ძილი და სიფხიზლე, არც მეტი მუშაობა და ცუდაობა. ერთის სიტყვით, წესიერს, ნივრ-შეუშლელს, თავის ფარეზობაში მყოფს ხორველა ვერას დააკლებს.

უწესო, ურიგო, ნივრ-შეშლილი ცხოვრება, როცა დროზედ კაცს ჭამა-სმა არა აქვს, დროზედ—ძილი და მოსვენება, ძნელია იმისთანა დროს, როგორიც ეხლა ჩვენთვის დადგა. მხოლოდ ეს კია, რომ ვინც რას მიჩვეულია, იმ მიჩვევას უცბად არ უნდა დაანებოს თავი: ვინც დუქანსა და მაღაზიაში ზას, კვლავ განაგრძოს თავისი საქმე აუშფოთებლად, გულდამშვიდებით; ვინც კიდევ მუდამ სიარულშია და ისე აკეთებს თავისს საქმეებს, ის არ უნდა ჩაიკეტოს სახლში და შიში არ უნდა მიიკაროს.

მოსარიდებელია ქეიფი, ხანგრძლივი დროს-ტარება და უზომო სმა. მავნებელია ხიბა-ხუბა, წვანილეული, მლაშეული, რაც-კი წყლის წყურვილს აუგდებს ადამიანს; მოსარიდალია აგრეთვე ყოველივე, რაც არ ადუღდება და არ მოიხარშება. დუღილში, ხარშვაში კვდება ჰია ხორველისა და ამ სწორედ ამიტომ გვირჩევენ მკურნალები, ადუღებული წყალი გააცივეთ და ისე სვითო, ღვინო-ნარევიო, ჩაით მოიკალითო წყურვილიო. გვირჩევენ კიდევ, რომ სასმელ-საჭმელს დაუხურავსა და დაუფარებელს ნურას დასტოვებთ, რომ ხორველის ბაცილა არსაიდგან გაუჩნდესო. პურიც-კი მოსარიდებელია და ქერქი ცეცხლზედ გახუხეთ და ისე სჭამეთო. ყოველიფერს მოერიდეთ, რასაც სტომაქი ძნელად ინელებს, რაც სტომაქს ავნებს, მოჰშლის და გააფალარათებსო.

მაშ სამი მტერი ჰყოლია ხორველას: სისუფთავე, ზომიერება და მორიდება იმისი, რაც მოსარიდებელია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ნაფარეული** (თელავის მაზრა). 1871 წელს ას ორმოც-და-ოთხმა კომლმა გლეხმა შეისყიდეს თავიანთ მებატონე თ. დავით ჭავჭავაძისაგან სოფ. ნაფარეულში ნადელად მიზომილი ვენახები, სახლ-კარი და მინდვრის მიწები. მარტო სახნავი იყო ზომით არა ნაკლებ 700 დესიატინისა, ანუ 1400 დღიურისა. მამული დაფასდა 50,000 მანეთად. გლეხებს ამოდენა ფულს ვინ მიაკუხებდა და იმათაც სთხოვეს მთავრობას, დაგვეხმარე, ფული მოგვეცი და შემდეგ ყოველ წლივ წვრილ-წვრილად გადაგიხდით ნასესხებ ფულს სარგებლითაო. მთავრობა დათანხმდა და ასესხა 50,000 მანეთი, წელიწადში ექვსის პროცენტით, ანუ ყოველს ას მანათზედ გლეხებს უნდა ეხადათ სარგებელი ექვსი მანეთი. სულ წლიური გადასახადი ნაფარაულელებს

---

## ფელეტონი

### სვანების აღელვება

1875—1876 წლებში.

(შემდეგი *)

15 ივლისს ჯარი ცაგერიდამ დაიძრა. ქვეითი ჯარი და გურულების დრუჟინა სვანეთს წამოვიდა. ყაზახების ჯარი-კი მურს დასტოვეს; თუ საჭიროება მოითხოვდა, იგიც სვანეთს უნდა წამოსულიყო. ატრიადის უფროსად გენერალი ციტოვიჩი იყო. 15-ს ივლისს ლენტეხში დავრჩით ატრიადითურთ, 16-ს ჩოლურს მივედით, რომელიც ძევს ლატფარის უღელტეხილის ძირში, სამხრეთის მხრით. აქ გავიგეთ, რომ ლატფარზედ დარაჯების რიცხვი გაუმრავლებია ხალხს, რაკი ჯარის მოსვლა შეუტყვია, გუბერნატორმა დაიბარა ჩვენთან მიმავალი ცხრა სვანი და უთხრა. რომ ერთ-ერთი სვანი ყასბულათს გარდა წინ წასულიყო და ლატფარზე დარაჯები დაეშალა. სვანებმა მიუგეს, რომ სჯობია ყასბულათი გაუშვათ წინ, იმას უფრო დაუჯერებენო. გუბერნატორმა ყასბულათის გაშვება არ ინება. წავიდა ერთი სვანი, რომელსაც ყასბულათმა დააბარა დარაჯებთან, რომ დაშლილიყვნენ ლატფარზედ, რადგანაც ჯარი სვანეთს წაუსვლელი არ დადგებოდა და არც რაიმე ვნებას მოელოდა იმისაგან.

წინ წასულმა სვანმა დარაჯები დაშალა. იმის შესატყობად, მართლა დაიშალნენ თუ არა დარაჯები ლატფარზეო, გუბერნატორმა კაცი გაგზავნა. როდესაც ნამდვილად გავიგეთ, მთაზე დარაჯები აღარ დგანანო, გუბერნატორმა უბრძანა გრინევსკის წინ წასვლა. 17-ს საღამოს გრინევსკი, 20-მდე ლეჩხუმელი თავადიშვილები და მე ლატფარს შევუდექით. იმ ღამეს ლატფარის სამხრეთ ფერდზე დავრჩით. მეორე დღეს 18-ს დილა ადრიან შევუდექით მთას. კარგი დარი იყო. როდესაც მთის მწვერვალს მივუახლოვდით, კაცები შევნიშნეთ. ყველას ელდა გვეცა. ეტყობა, დარაჯები არ დაშლილან და უმისოდ ჩვენი წასვლა ან შეუძლებელია და ან ხიფათს გადავეკიდებითო. ყველანი ვამბობთ, რომ გუშინდელმა გუბერნატორის გაგზავნილმა კაცმა მოიცრუვა, როდესაც გვითხრა, მთაზე დარაჯები აღარა დგასო. რამდენადაც მწვერვალს ვუახლოვდებით, იმდენად კაცების რიცხვი მეტი გვეჩვენება.

ყველას შიში ჩაგვივარდა გულში და სიარულს მოვუკელით; წინ წასვლა არავის გვინდოდა. გავჩერდით, ვითათბირეთ; გვინდა ერთი ვინმე წინ წავიდეს ამბის შესატყობად, მაგრამ არავინ გამოჩნდა გულადი. ზოგიერთები უკან დაბრუნებას გვირჩევენ, მაგრამ გრინევსკი უარზე დგას. გავსწიეთ ისევ ყველამ გულის ფანცქალით. აგერ მივედით მწვერვალზე და რა დავინახეთ: ცერზედ აყენებული კაცის სიმაღლე ქვები! ეს დარაჯების საქმე იყო, ჩვენდა დასაცინად მოგონებული. ყველას სირცხვილის ფერმა გადაგვკრა, მაგრამ ვილას ახსოვდა სირცხვილი, რადგანაც ასე უხიფათოდ გათავდა საქმე!

გადავაბიჯეთ მთას. ჩავედით მის ძირში ჩრდილოეთის მხრით. აქ ძევს კალის საზოგადოება. ორი სოფელი ამ საზოგადოებისა დავბერ და ლალხორ-ი გაშენებულია მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზედ.

ლალხორს ეს სახელი იმ მინდვრისაგან მიუღია, რომელიც სამხრეთით აკრავს. სიტყვა ლალხორი ნიშნავს „შესაკრებელს“ ადგილს. საჭირო დროს საზოგადოება ცალკე და ზემო ხევი საზოგადოდ ამ მინდორში იყრიდა თავს. დღესაც აქ იყო თავ-მოყრილი თითქმის მთელი თავისუფალი სვანეთი. ყრილობამ დაგვინახა თუ არა მისკენ მიმავალნი, მაშინვე ხმაურობა ასტეხა. გავიდა ცოტა ხანი და დავინახეთ ჩვენკენ გამოქანებული ათიოდე კაცი; მხარზე თოფები ჰქონდათ გადადებული. ყრილობას გამოეგზავნა ჩვენთან.

შეგვხვდნენ და ბრძანების კილოთი დაგვიძახეს,: გაჩერდითო! (ჩვენ და ყრილობას მარტო ენგური გვყოფდა). გავჩერდით. გრინევსკიმ აღელვებულის ხმით სთხოვა გაეშვით სოფლად. ხომ ჰხედავთ, დაღალულდაქანცულები ვართ, რა კაცები ხართ, რომ მოსვენების ნებას არ გვაძლევთო?

—არ იქნება! გაჯავრების ხმით მიუგეს დამხვდურებმა: ყრილობამ დაგვაბარა, რომ ამას იქით ფეხი არ გადმოგადგმევინოთ წინ.

გრინევსკის ბრაზები მოუვიდა. გაჯავრებულმა ცხენს მათრახი შემოჰკრა და წასვლა დააპირა. იმავე წამს ერთი სვანი შუა გზაზე დადგა, ჩახმახი ფეხზედ შეაყენა, დაუღირა თოფი და დაიძახა: თუ ერთი ფეხი წინ წაგიდგამს, გაგათავებო. გადავვარდი წინ, ვსტაცე გრინევსკის ცხენის აღვირს ხელი და შევაჩერე. ათრთოლებულის ხმით გადავუთარგმნე სვანის მუქარა.

გრინევსკი სულ გააფრთდა; ისეთი გულ-მოსული იყო, რომ იმ წამს მთელს სვანეთს ნაცარტუტას აადენდა, რომ შესძლებოდა. ვართ გაჩერებული ცხენებზედ უშველებელ სიცხეში და შევყურებთ ერთმანეთს. ვსთხოვეთ, რომ ერთი კაცი ყრილობაში წასულიყო, ეთხოვა, რომ სოფლად გავეშვით. გაიქცა კაცი, მოგვივიდა სოფელში წასვლის ნება. გავსწიეთ. გზაზედ ყრილობას გვერდი ავუარეთ, რომელმაც ისეთის თვალით დაგვიწყო ცქერა, რომ გეგონებოდათ, ეს-ეს არის, ჩვენი შეჭმა უნდაო. არც ერთმა ხმა არ გაგვცა. სოფელში ერთ მოსახლის კა-

*) იხ. „ივერია“, № 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსდიოდათ ამ ვალისა 3000 მანათზედ ცოტა მეტი. ვალი გადასწყდებოდა 49 წ. განმავლობაში, თუ ყოველ წლივ უნაკლულოდ შეიტანდნენ წლიურს გადასახადს.

ასე და ამ გვარად ნაფარეულელები მოსაკუთრენი გახდნენ. იმათს სიხარულს პირველში საზღვარი არა ჰქონდა. ან-კი როგორ არ გაჰხარებოდათ, როცა უცბად ბატონები შეიქნენ და კისერზე აღარავის წამოისვამდნენ.

მაგრამ ულმობელი ბედი სულ სხვას უმზადებდა მომავალში. ეხლა ნაფარეულელები, ოცის წლის შემდეგ, ცხვირ-ჩამოშვებული დაბძანდებიან და სრულიად აღარ ჰფიქრობენ, რომ ბატონები ჩვენა ვართო.

აი რაშია საქმე.

ყოველ წლიური გადასახადი 9000 მ. მეტად მძიმე ტვირთი აღმოჩნდა მათთვის. თითო კომლს ამ ვალისა წელიწადში ხვდება 21 მ.; თუ მეტი არა, ნაკლები ხომ არ იქნება სხვა გადასახადი, ფოსტის ფული, სათემო ხარჯი, საზოგადო და სხვ. მაშასადამე, წელიწადში სულ ცოტა ერთმა კომლმა ნაღდი უნდა გაიღოს 45 მანეთი. მერე საიდგან? მიწისა და ვენახის მოსავალს ფასი არა აქვს ჩვენ'ში, არ მოეპოვება ბაზარი, უზრუნველ ყოფილი არ არის არც კალიისაგან, არც სეტყვისაგან და მრავალ სხვა სენისაგან. ხარჯი ნაღდის ფულით უნდა გაისტუმრო, შემოსავალი-კი მარცვალია და ყურძნის წვენი. კიდევ კარგი, რომ ყოველთვის მოდიოდეს, მაგრამ ხათაც ის არის, დაგვკრამს ერთი ლაზათიანი სეტყვა და ხელ-ცარიელი დაგვსვამს წლის მოსავალზედ. მერე წადი და გაისტუმრე ჩვეულებრივი გადასახადი.

ზემოდ ჩამოთვლილი გაჭირვება ვერ აიცილეს ნაფარეულელებმა თავიდგან. წლიური გადასახადი ვერ შეჰქონდათ, ნედოიმკა იზრდებოდა და ეხლა თითქმის 28 ათასი მანეთი ითვლება. თავნს-კი მოაკლდა მხოლოდ ცხრა ათასი მანეთი, ასე რომ ეხლა ნაფარეულელებს ჰმართებთ სულ 69 ათასი მანეთი.

რასაკვირველია, ასეთის ვალის გადახდა ღონე გამოლეულ სოფლისთვის შეუძლებელია. სოფელი დაღონდა, დაძმარდა, იფიქრა, იფიქრა და მიაგნო ჩვენის თავად-აზნაურობისაგან გატკეპნილს გზას.

სოფელი შეეხმიანა საუფლისწულო მამულს, ხომ არ მოისურვებ ჩვენის ნადელების სყიდვასო. გამგეობა მამულისა დათანხმდა, სოფელმა განაჩენი დაადგინა, მთელი ჩვენი ნადელი, 1400 დღიური მიწა, სავენახედ გამოსადეგი, იყიდეთ იმ პირობით, რომ მთავრობის ვალი სულ ერთიანად მოგვაშოროთ, დაგვიტოვეთ მხოლოდ სახლ-კარი და ვენახებიო.

როგორც ყური მოვკარით, საუფლისწულო მამულის გამგეობა თანხმდება ამ პირობას და დაუწყია, სადაც ჯერ არს, ნაფარეულელებისაგან მამულების სყიდვის შესახებ მიწერ-მოწერა.

როცა ეს საქმე დასრულდება, იმასაც თავის დროზედ შეგატყობინებთ.

ნაფარეულელი

---

**ზესტაფონი** (შორაპნის მაზრა). აქაურ შავის ქვის წარმოებისათვის ამ წლის დასაწყისი ბევრი ვერაფერი სახეირო იყო. გაზაფხული ისე გავიდა, რომ მზის ნახვას დანატრულები ვიყავით. ხშირმა და თითქმის შეუწყვეტელმა წვიმებმა ილაჯი წაიღო. უიმისოდაც უხეირო გზები უარესს მდგომარეობაში ჩავარდა. მაისის ოცამდე კანტი-კუნტად თუ დაინახავდა კაცი ურმებს ან ცხენებს, შავის ქვით დატვირთულებს, თუმცა-კი მადნებიდგან ზესტაფონამდე ქვის გადმოტანის ქირას ფუთზე შვიდ შაურს და მეტსაც იძლეოდნენ მწარმოებელნი. წინა წლებში-კი ფუთის ქვის ქირა აბაზზედ ზევით აშვიათად ასულა.

ავდარმა და უგზობამ ერთს ადლზე ჩამოაშვებინა ცხვირი ქვის-მწარმოებელთ. ვისაც პირდაპირ საზღვარ-გარეთელ ვაჭრებთანა ჰქონდა საქმე, რა თქმა უნდა, ყველას დროით ჰქონდა გემები დაქირავებული. რამდენიმე გემი უკვე მოადგა მაისში ფოთის ნავთ-სადგურს შავის ქვის წასაღებად, მაგრამ ქვა-კი არსად იყო. ერთი მეორესა სთხოვდა, მასესხე, ხელს მოვინაცვლებ როგორმე და შემდეგ დაგიბრუნებო, მაგრამ ვერც ამან უშველა-რა საქმეს, რადგინ საყოველთაო უქვაობა იყო.. მეტი რა ჯანი იყო, გემები ცარიელები უნდა გაებრუნებინათ. ამას მოჰყვა ჯარიმების გადახდა დაქირავებულ გემების სასარგებლოდ, ასე რომ ზარალი ზარალს ზედ ემატებოდა. მართლა-და ნამდვილ სასოწარკვეთილების სურათს წარმოადგენდა იმ ხანებში აქაურობა,—ვისაც არ შეხვდებოდით, ყველა იმას გაიძახოდა: „დევიღუპე, ბატონო, გავკოტრდიო“ *). ბოლოს ჟამს, რა-კი ცხადად დარწმუნდნენ, რომ გზას თუ არა ვუშველეთ-რა, ისე არ გვემსახურებაო, რის ტირილით და წუწუნით გაჰბედეს გამოეღოთ თავ-თავისი ხვედრი ფული მის შეკეთებისათვის. თუმცა გვიან მოისაზრეს ყოველივე ესე, მაგრამ სულ არაობას, გვიან მაინცა სჯობს. ეს-კი სწორედ მაშინ გაჰბედეს, როცა წვიმამ გადიღო და გამუდმებული ტაროსი დადგა. ტაროსთან ერთად აქაურების სახემაც გამოისარკა.

ურმების ანაბარად რომ არ ყოფილიყო მიტოვებული აქაურების ბედ-იღბალი, რა თქმა უნდა, ეს ზარალიც თავს არ დაატყდებოდათ, და ის ფული (15 ათას მანათამდე), რაც უცხოელთ ჯარიმის სახით ჩაუყარეს ხელში, ჩვენშივე დატრიალდებოდა. საჭირო იყო მხოლოდ ორასი თუმანი, რაიცა აქაურებს ყველას ერთად ადვილად შეეძლოთ გამოეღოთ. მაგრამ თითოეული ცალკე და ყველანი ერთად იმასა სცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ცოტა ხარჯით დიდი მოგება დარჩენოდათ, როგორმე დღეს დაეხწიათ თავი გაჭირვებისათვის და იმას-კი, რომ ხვალ და ზეგ რა საზრუნავი მოადგებოდათ კარს, როგორღაც ნაკლებადა ფიქრობდნენ. მგონია, ამ წრევანდელმა ორასის თუმნის ყაირათით შემთხვეულმა ზარალმი შემდეგისათვის უფრო წინ-დახედულობად გაჰხადოს ჩვენებური შავი-ქვის მწარმოებელნი. იმედი ვიქონიოთ.

როგორღაც რკინის გზის ჭიათურის ტოტს ვერ იქმნა, ბოლო ვერ მოეღო. ტაატით მიდის მისის კეთების საქმე. პირობის ძალით ამ წლის გასულისათვის უნდა ჩაებარებინა ხაზინას ეს გზა, მაგრამ დიდი ღვთის წყალობა იქნება, თუ მომავალ გაზაფხულისათვის ბოლო მოეღო მისს კეთებას, ესეც იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარადრეებმა ფულიც თავ-თავის დროზე მიიღეს და თითონაც იმუყაითეს და საქმე მარტო იმათზე იქნება დამოკიდებული. სულ სხვა იქნება, თუ ჩვენსკენ ხოლერა გადმოვიდა. მაშინ, რა თქმა უნდა, მთელი ეს ზაფხული, ეს საუკეთესო დრო მინდვრად მუშაობისა, უნაყოფოდ გაივლის და იმ წლის გასულს თუ გაისმა მატარებლის ხმა ჭიათურაში, ღმერთს მადლობა უნდა შევსწიროთ.

თ. ს.

*) თიბათვემდე ფოთიდგან მხოლოდ ერთმილიონ ფუთამდეა წაღებული შავი-ქვა და ეს-კი ბევრს ვერაფერს სანუგეშოს გვეუბნება.

---

# უცხოეთი

**გერმანია.** ბისმარკს ვენაში ყოფნის დროს ლაპარაკი ჰქონდა გაზეთ „Neue Freie Presse“-ს რედაქტორთან სხვა-და-სხვა საპოლიტიკო საგნის შესახებ. ბისმარკმა სხვათა შორის შემდეგი უთხრა ხსენებულს რედაქტორს: „ჩემის აზრით, 1871 წელს შემდეგ თქვენ (ავსტრიელებმა) ყველაფერს მიაღწიეთ, რაც-კი საჭირო იყო თქვენის დამოუკიდებლობისათვისა და რიგიან ეროვნულად არსებობისათვის. გერმანიას არ შეუძლიან მოიწადინოს სამფლობელოს გაფართოება არც ერთის მხრით: არც საფრანგეთისაკენ, არც ჰოლლანდიისაკენ, არც ბელგიისაკენ და არც რუსეთის საზღვრებისაკენ. მაშ რაღა უნდა გვინდოდეს? ჩვენ ეხლა მაძღრები ვართ და გერმანიის აწინდელი მდგომარეობა თავად ანდრაშის სიტყვას მაგონებს: „გემი ვენგრიისა ისე ავსებით სავსეა, რომ ერთი გირვანქა ოქრო ან ხორბალი რომ კიდევ მოემატოს, შეიძლება დაიძიროს და დაიღუპოს“-ო. ჩვენ უიმისოდაც ბევრი გვყავს გერმანელთა ელემენტი და ომი უსაქმურობა ნურავის ეგონება. მე თითონ მიმიღია ომებში მონაწილეობა. ბოჰემიის გემი საიმისო არა იყო-რა, მაგრამ საფრანგეთთან რომ ომი გვქონდა, ის-კი დიდმნიშვნელოვანი იყო. მე არ მეშინიან საჭირო ომისა და ან კიდევ ღირსეულად დაღუპვისა. მაგრამ რა ჰყრია იმ ომში, რომელსაც არაფერი სარგებლობა არ შეუძლიან მოგვიტანოს, თუ ღმერთმა გაგვამარჯვებინა. ნუ თუ ჩვენ რუსეთს უნდა დავეცნეთ ფულის საშოვნელად? ეს ძნელი საქმე იქნებოდაო, სთქვა ბისმარკმა ღიმილით. ან კიდევ, განა რუსეთი უნდა დაეცეს გერმანიასა? რუსეთსაც აგრეთვე არ შეუძლიან მოიწადინოს თავის სამფლობელოს გაფართოვება ჩვენის მიწა-წყლითა, რადგანაც უიმისოდაც ბევრი ხათაბალა ატყდება თავზედ ბალტიის მხარეს მცხოვრებ გერმანელებისა გამო. ამიტომ ავსტრიასთან დაკავშირების დროს მე განზრახვა მქონდა არ დამეკარგა კავშირი რუსეთთანაც და ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონოდა. ეს ხომ ავსტრიისათვის სასარგებლოა. მაშ რაღა უნდა ავსტრიას? ავსტრიას მშვიდობიანობა ჰსურს და, ჩემის აზრით, რაც „ბოსნიელები“ გყავთ, ისიც საკმარისია. განა რომ საკმარისი გყავთ ბოსნიელებიო, იკითხა კვლავ თაავადმდა მომატება აღარა გსურთო?

— ეგ გარემოება შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენმა ბრწყინვალებამ სამსახურს თავი დაანება?

ბისმარკმა დაბეჯითებით უპასუხა:

— დიაღ! დიაღ!-ო.

— მერე რის გამო?

— იმის გამო, რომ ჩვენ გავლენა აღარა გვაქვს რუსეთის პოლიტიკაზედ, აღარ შეგვიძლიან რჩევა-დარიგება ვაძლიოთ რუსეთს. ამ შემთხვევაში რა შეუძლიან სახელმწიფო კაცს? იმან უნდა შეიტყოს ხოლმე განსაცდელი ომის მოახლოვებისა და თავიდგან მოიშოროს იგი. უნდა იცოდეს, რა ნიადაგი აქვს ფეხ-ქვეშა, ჭაობიანს ადგილზედ სდგანან, თუ

---

ლოში დავისვენეთ. ჩემს ნათესავს ვსთხოვე, ცოტა რამ საჭმელი ეშოვნა. ვაი თუ ყრილობას ეწყინოსო, მითხრა. რას ამბობ-მეთქი. ყრილობა როგორ დაგიშლის, რომ მე, შენს ნათესავს, საჭმელი გამიკეთო? მაშ პატარა მომითმინეთო, ხელ-და-ხელ მოვამზადებ რასმეო. ეს ამბავი გადავეცი გრინევსკის და მე ყრილობაში წავედი, რომელიც იქვე ახლო იყო.

ჩავერიე ყრილობაში. ჩემს დღეში არ დამავიწყდება ის სურათი, რასაც მაშინ ყრილობა წარმოადგენდა. 2000-მდე შეთოფიარაღებული სვანი ერთის სურვილით იყო გამსჭვალული. ეს სურვილი იყო, ეხლავე ბრძოლის დაწყება გრინევსკის და მის მხლებლების ამოსაწყვეტად. ყველანი ამას იძახოდნენ: ხომ არ აგვცილდება ბრძოლა, ბარემც დავიწყოთ, რაღას ვუცდით? ნურაფერს დავიჯერებთ მაგათსას; ყასბულათი მოციქულად გავგზავნეთ და აქამდე არ გამოუშვეს, შეიძლება, დაჭერილი ჰყავთ. ჩემ ნათესავებს ვუთხარი, რომ ყასბულათი დაჭერილი არ არის-მეთქი ხვალ ან ზეგ მოვა-მეთქი თქვენთან. იმათ ყრილობას შეატყობინეს ჩემი ნათქვამი. მკითხეს ხელ-მეორედ ყასბულათის ამბავი და ისევ ის ვუთხარი. ბევრმა არ დაიჯერა. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: რადგან ჩხუბი აუცილებელია, ჩვენი ფიცი (კვირიკეზე რომ დაიფიცეს) გაუწყრეს იმას, ვინც მე არ გამომყვეს და ნაჩალნიკი და მისი მხლებლები ეხლავე არ დაჰხოცოსო, და კიდევაც გაემართა სოფლისკენ. იმას გაჰყვნენ სხვებიც, გაიარეს რამდენიმე საჟენი და ამ დროს წინ უყელა ერთმა მესტიელმა და გააჩერა: მთელი ყრილობა ხომ არ წავალთ 20 კაცის დასახოცად! ყველა საზოგადოებიდგან რამდენიმე კაცი ავირჩიოთ, მიუკზავნოთ ნაჩალნიკს. უთხრან, რომ ეხლავე უკან დაბრუნდეს და ხვალ ყასბულათი და მისი ამხანაგები გამოგზავნონ აქ, თორემ უიმათოდ, თუ ჯარი გამოჩნდა ჩვენში, უთუოდ ჩხუბი მოგვიხდება. თუ დათანხმდეს ნაჩალნიკი, კარგი, თუ არა და, როგორც ის, ისე მისი მხლებელი ლეჩხუმის თავადიშვილებიც დავხოცოთო. უმეტესობა დაეთანხმა და ყველა სოფლიდგან ორ-ორი კაცი გაჰგზავნეს ამ საქმისათვის გრინევსკისთან. ამ დროს მეც გავსწიე საჩქაროდ და წინ გავუსწარი სხვებს. გრინევსკის და თავადიშვილებს გადავეცი ეს ამბავი. თავადიშვილები ძალიან შეფიქრიანდნენ; შემოეხვივნენ მაზრის უფროსს და სთხოვეს, გარემოებას დამორჩილდი, უკანვე წავიდეთო. პასუხად გრინევსკიმ რევოლვერი ამოიღო და სთქვა: ექვსი სროლა არის, ექვსს მოვკლავ და მერმე თუ უნდათ, შემჭამონ! ცოცხალი უკან არ დავბრუნდებიო! თქვენაო მიუბრუნდა ლეჩხუმლებს: შეგიძლიათ უკან დაბრუნდეთ. თავადიშვილებმა უთხრეს, ჩვენ მარტო შენ ვერ დაგტოვებთ, რომ სვანებმა მოგკლანო. შენთან ჩვენც უნდა დავიხოცოთ, მაგრამ ღირს კი ამად ჩვენი თავგანწირვაო? უჭკუობად არ ჩამოგვართმევენ, რომ აღელვებულს ხალხს ასე ახირებულად თავი დავახოცინოთ? ნუ ინებებთ ამას, ნურც თქვენ იღუპავთ თავს და ნურც თქვენის ცოლ-შვილის ცოდვაში ჩადგებითო. თუ რამე გაკეთდება ჩვენის დახოცვით, ბატონი ბრძანდებით! გვიბრძანეთ, ჩვენ მზადა ვართ! ამ დროს ყრილობიდგან გამოგზავნილი კაცებიც მოვიდნენ. მითხრეს: გადაეცი, „ნაჩალნიკს“ ასეა და ასე საქმეო. მე უთხარი, რომ ნათქვამი აქვს მეთქი და ეს-ეს არის მივდივართ. თავადიშვილების ლაპარაკმა და ამ სვანების დანახვამ ჩააფიქრა გრინევსკი და, როგორც იქმნა, დათანხმდა უკან დაბრუნებას. უცებ მოვაფრინდით ცხენებს და, მძვინვარე მხეცს რომ თავისი მსხვერპლი წაუკიდეს, ისე გავუსხლტდით ხელიდამ ჩვენც ნამდვილს სიკვდილს. წასვლის დროს ყრილობის გამოგზავნილმა კაცებმა გვითხრეს, რომ ამაღამ ლატფარს გადმოღმა არსად დავმდგარიყავით, თორემ უკან კაცებს დაგადევნებთ და ღამე ამოგაწყვეტინებთო. ლეჩხუმელებს გადავეცი ეს გარემოება, გრინევსკისთვის-კი აღარ მითქვამს.

თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ, როდესაც ყრილობა უკან დაგვრჩა და ჩვენ მეორედ შევუდექით იმ ლატფარის აღმართს, რომელიც დღეს დიდის ვაი-ვაგლახით ჩამოვიარეთ. ავიარეთ ტყე და შიშველში რომ მივაწიეთ, საღამომ გვისწრო. გადავწყვიტეთ, მთის მწვერვალის ახლო, ფერდზედ დადგომა. დავეყარეთ მთელის დღის უსმელ-უჭმელნი და დაღალულნი.

აქ ერთი სასაცილო საქმე მოგვივიდა, რომელმაც მთელი ღამე შიშში გაგვატარებინა. ის იყო დღე და ღამე იყრებოდა, ცხენებს ბარგ-უნაგირი მოვხადეთ, ცეცხლის დანთებას ვეპირებით, რომ ერთმა თავადიშვილის ხლებელმა ბიჭმა დაიძახა: აი სად მოსულან სვანებიო! და მიგვითითა დასავლეთით მდებარე ქედისაკენ. ყველამ იმ ქედს მივაცეცეთ თვალები, მაგრამ ვერაფერი დავინახეთ. მივსცვივდით ლეჩხუმელს ბიჭო, რა იცი რომ იქ სვანები იყვნენო? იმან გვითხრა: რამდენიმე კაცი გამოჩნდა ქედზედ, მაგრამ უცებ ისევ მოეფარნენო. ვსთქვით, სწორედ დაგვედევნენ უკან სვანები და გლახად არის ჩვენი საქმეო! რა უნდა გვექნა? გზის განგრძობა შეუძლებელი იყო: ისე ბნელოდა, რომ თითს თვალთან ვერ მიიტანდი. ვარჩიეთ, ცეცხლი არ დაგვენთო, არც თუთუნი მოგვეწია, გავფანტულიყავით ფერდებში და ყველას ცალკ-ცალკე მოგვენახა ბინა ბალახებში! რამდენსამე წამს შემდეგ ისე მივიმალ-მოვიმალეთ, რომ ორმა ერთი მეორეს არაფერი იცოდა მეორე დილამდე.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

მშრალსა და ხმელზედ. უნდა იცოდეს, ძალა შესწევს, რომ დაბრკოლება მოიშოროს თავიდგან, და ან ორმო განიერი ხომ არ არის, რომ გადახტომის დროს შიგ არ ჩავარდეს. გესმით განა ჩემი ლაპარაკი?

— დიაღ, თქვენო ბრწყინვალებავ. მაგრამ სახელდობრ რა გარემოებამ შესცვალა ურთიერთობა რუსეთთან მას შემდეგ, რაც თქვენ სამსახურს თავი დაანებეთ?

— ეგ გარემოება გახლავთ პირადის ნდობის დაკარგვა და, მაშასადამე, პირადის გავლენის დაკარგვაც რუსეთზედ. მე მენდობოდნენ და გავლენაცა მქონდა რუსეთის ელჩზედ ბერლინში. უკანასკნელ აუდიენციის დროს, ჩემ მიერ სამსახურის თავის დანებების რამდენისამე დღის წინად, რუსეთის ელჩმა მითხრა: „მე თქვენ გენდობით, სრული ნდობა მაქვს თქვენი, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს სამსახურში დარჩებით?“-ო. მე განცვიფრებით შევხედე და ვუთხარ: „რასაკვირველია, მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილამდე მინისტრად დავრჩები“-მეთქი. აბა მე რა ვიცოდი, თუ ცვლილება მოხდებოდა, მაგრამ როგორც რუსეთის ელჩის სიტყვებიდგანა სჩანს, რუსეთში უკვე სცოდნოდათ მოსალოდნელი ცვლილებანი. ასეთი პირადი ნდობა და ავტორიტეტი ჩემს მოადგილეს აქამდისაც ვერ მოუპოვებია. აი სწორედ იმ ფაქტორის უქონლობით, რომელსაც შეეძლოს გავლენა იქონიოს რუსეთზედ, აიხსნება ის გარემოება, რომ ჩემ მიერ სამსახურისათვის თავის დანებების შემდეგ საპოლიტიკო მდგომარეობა ევროპისა იცვალა.

— და თქვენ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგ ცვლილებას საქმის წახდენადა ჰრაცხთ?

ბისმარკმა ამაზედ გადაჭრით უპასუხა:

— დიაღ! გასწყდა ის მავთული, რომელიც რუსეთთან გვაერთებდა. პირველ საგნად პოლიტიკისა მე მშვიდობიანობის დაცვა მიმაჩნია. მერე რა იქნება, რომ რუსეთსა ვძლიოთ ომში, და ორი მეზობელი აქეთ-იქით მუდამ მუქარაზედ იდგნენ, ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით? საფრანგეთთან ომი არ აგვცდება. საქმე მხოლოდ იმაზეა მივარდნილი, რომ კაცი გამოჩნდეს და წყალი აამღვრიოს. ეს ისეთი საქმეა, რომ გავა დრო და უთუოდ უნდა აღსრულდეს. რუსეთთან ომი სულ სხვა საქმეა. ჩვენთვის სრულიად ხელსაყრელი არ არის რუსეთთან ომის დაწყება და არც აგრეთვე რუსეთისთვის ჩვენთან ომიანობა. ჩვენ საცილობელი საგანი არა გვაქვს-რა. ჩვენ და რუსეთი ერთი-ერთმანეთისაგან ვერაფერს შევიძენთ ომის გამო. ავსტრიაც აგრეთვე მშვიდობიანობის მოყვარე სახელმწიფოა და აი სწორედ ავსტრიისათვის შეგვეძლო სამსახური გაგვეწია, რუსეთთან შემაერთებელი მავთული რომ არ გაწყვეტილიყო.

— თქვენო ბრწყინვალებავ, იქნება პოლიტიკურ ამბების გამოც გაუვარგისდა მდგომარეობა?

— როგორც უკვე ვსთქვი, პირველი მიზეზი ის არის, რომ რუსეთზე გავლენა დავკარგეთ; გერმანიის ელჩს პეტერბურგში ამ ჟამად უფრო ნაკლები გავლენა აქვს, ვიდრე წინადა ჰქონდა. ამას სხვა გარემოებაც დაერთო. განსაკუთრებით პოლონელთა შესახების პოლიტიკის ცვლილება პრუსიისა. მთავარ-ეპისკოპოსად დანიშნეს პოლონელი და ისეთი ადგილი მისცეს, რომელიც უკეთესი იქნებოდა, რომ გერმანელს კათოლიკეს სჭეროდა. მართალია, იმ ეპისკოპოსმა სიტყვა წარმოსთქვა ელბინგში, კარგად მოიხსენია გერმანელები და ერთგულება განაცხადა სახელმწიფოსი, მაგრამ მაინც აქ აშკარადა სჩანს წინააღმდეგობა რუსეთისათვის. ჩვენმა პოლიტიკამ პოზნანში ნდობა დაგვიკარგა რუსეთისა და ამასთანავე გავლენაც შეგვიმცირა.

---

# დეპეშა

23 ივნისი

**პეტერბურგი.** ასტრახანისა და სარატოვიდგან ახალი ამბავი აღარა მოსულა-რა ხოლერით ავადმყოფებისა. ბაქოში 20 ივნისს სამკურნალოში იყო 137 ავადმყოფი, სამკურნალოს გარეშე მოკვდა 60. ტფილისში 20 ივნისს ავად გახდა 3 და არცთი არ მომკვდარა.

„Новое Время“ იუწყება: პოლკოვნიკი ვენდრიხი უკვე შეუდგა მოსკოვის მახლობელ ლიანდაგების განხილვას, რომ კარგი ღონისძიებანი იქმნას ხმარებული, თუ ვინიცობაა, ხოლერამ იჩინა თავი. მოსკოვიდგან ვენდრიხი წავა მოსკოვ-რიაზანის გზით ყველა შენობათა დასათვალიერებლად.

„Гражданинъ“-ი იუწყება, გუშინ თავმჯდომარეობით შინაგან საქმეთა მინისტრისა მოხდა ბჭობა სამხედრო მინისტრისა და ფინანსთა და გარეშე საქმეთა სამინისტროების გამგეთა იმის თაობაზე, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული ხოლერის წინააღმდეგ.

**ლონდონი.** ჯერ-ჯერობით არჩეულ იქმნა 47 კონსერვატორი, 7 უნიონისტი და 37 ლიბერალი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8,05 | 8,09 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები | 161 | 162 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | —,, | 1,10 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | —,, | —,, | 238½ |
| —მეორისა | —,, | —,, | 220½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | —,, | 194½ | —,, |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | —,, | —,, | —,, |
| 5% | —,, | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | —,, | —,, | —,, |
| 5% | —,, | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | —,, |

## გამოსადეგი ცნობანი

დიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

---

# განცხადებანი

## პროგრამა

ტფილისის სათავად-აზნაურო მოსამზადებელ კლასებისა.

I განყოფილებაში მიიღებიან (არა უმეტეს 8 წლის) უეგზამენოდ.

II განყოფილებაში შემომსვლელთათვის (არა უმეტეს ცხრა წლისა):

1 სადმრთო სჯული.

შემოკლებულნი მოთხრობანი ძველ და ახალ აღთქმიდგან (იხილე „დედა-ენაში“ მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდგან). ლოცვები: დაწყებითი ლოცვა, სამების ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილს შემდეგ, სულის წმიდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, ლოცვა მეფისა და მამულისათვის.

2 ქართული ენა.

კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა, ზეპირად ცოდნა იმ ლექსებისა და პასუხის მიგება იმ სასაუბროებზედ, რომელნიც მოქცეულნი არიან „დედა-ენის“ მეასე გვერდამდის.

3 რუსული ენა.

ცოდნა იმ სიტყვებისა და ფრაზებისა, რომელნიც მოქცეულნი არიან იაკ. გოგებაშვილის რუსულ ენის სახელმძღვანელოს ლექსიურ განყოფილებაში.

4 არითმეტიკა.

ყოველ-მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 20-დის. ყმაწვილებს უნდა შეეძლოთ: შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. უნდა იცოდნენ აგრეთვე ხშირად სახმარებელი ზომები.

III განყოფილებაში შემომსვლელთათვის (არა უმეტეს ათის წლისა):

1 საღმრთო სჯული.

მოკლე მოთხრობანი ძველის აღთქმისა. ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილს შემდეგ, სულის წმინდის ლოცვა, საუფლო ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის შობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის, ლოცვები დილისა და სალამოსი (სახელმძღვანელო გ. იოსელიანისა „ლოცვანი მოსამზადებელის კლასებისათვის“).

2 ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის თავის სიტყვებით გარდმოცემა იმ მოთხრობებისა, რომელნიც მოთავსებულნი არიან „ბუნების კარის“ პირველს ორს განყოფილებაშა, ე. ი. მოთხრობანი მცენარეებზედ, შინაურს ცხოველებზედ და ფრინველებზედ აგრეთვე იმავე წიგნის იმავე განყოფილებაში მოქცეულის ლექსების ზეპირად ცოდნა.

3) რუსული ენა.

წერა-კითხვა რუსული. თარგმანი რუსულიდგან ქართულს ენაზედ და ქართულიდგან რუსულზედ. სახელმძღვანელოდ იხმარება იაკ. გოგებაშვილის „Русское Слово“. ამ წიგნში უნდა ჰქონდეთ შესწავლილი სამოციოდე პატარა მოთხრობა, რომელსაც უნდა ჰკითხულობდნენ კანონიერად; უნდა ესმოდეთ ყოველი სიტყვა ამ სტატიებისა და შეეძლოთ არა მარტო გადმოთარგმნა მათი, არამედ შინაარსის გადმოცემაც რუსულად. კარნახით წერა ფრაზებისა შესწავლილ სტატიებიდგან.

4 არითმეტიკა.

ყოველ მხრივი შესწავლა რიცხვებისა 1-დგან 100 დის და ხშირად სახმარებელის ზომების ცოდნა. ტაბულა გამრავლებისა (სახელმძღვანელო „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა“. რ. ჯაჯანაშვილისაგან შედგენილი).

IV განყოფილებაში შემომსვლელთათვის. (არა უმეტეს თერთმეტის წლისა).

1 საღმრთო სჯული.

მოთხრობანი ახალის აღთქმიდგან, ლოცვები რუსულად და ქართულად. რუსულად: დაწყებითი ლოცვა, ლოცვები სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, ლოცვები სადილის წინ და სადილს შემდეგ, სულის წმინდის ლოცვა, მეუფის ლოცვა, პირველი და მეორე ლოცვა ღვთის მშობლისადმი, ლოცვა მეფისა და მამულისათვის. ქართულად: დილის ლოცვა, ათი მცნება, სიმვოლო სარწმუნოებისა (სახელმძღვანელო „საღმრთო ისტორია“, გ. ოსელიანისა).

2 ქართული ენა.

გარკვევით კითხვა და გარდმოცემა წაკითხულის სტატიებისა თავის სიტყვით. დასახელება სიტყვის ნაწილებისა (სახელმძღვანელო „ბუნების კარი“).

3 რუსული ენა.

გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა ქართულადა და რუსულად; ერთის სიტყვის ან ფრაზის მაგივრად მეორე მგზავსის სიტყვის და ფრაზის ხმარება. წერა კარნახით (სახელმძღვანელოდ იხმარება „Родное Слово“, годъ второй, საიდგანაც უნდა შესწავლილი ჰქონდეს ყველა პატარა მოთხრობანი და ლექსები ზეპირად წიგნის მესამე გვერდამდის).

4 არითმეტიკა.

საზეპირო და წერითი ანგარიში რიცხვებზედ 1—10,000 (ათი ათასამდის); ოთხი უმთავრესი მოქმედება (შეერთება, გამოკლება, გამრავლება ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, გაყოფა ერთ ნიშნოვან რიცხვზედ, ცოდნა გამრავლების ტაბულასი და ხშირად სახმარებელ ზომებისა. რუსულად ახსნა საზეპირო ამოცანებისა 1—1,000 (ერთიდგან ათასამდის) (სახელმძღვანელოა „Сборникъ Ариөметическихъ задачъ“ Евстушевскаго, часть 1).

შენიშვნა: პირველი პროგიმნაზიული კლასიდგან დაწყებული ყველა პროგიმნაზიულ კლასებში მიღებულია საერო განათლების სამინისტროს პროგრამმები. ქართული ენიდგან უნდა იცოდნენ პირველ კლასში შემომსვლელებმა: 1) გარკვევით კითხვა, წაკითხულის გარდმოცემა თავის სიტყვებით; 2) გრამმატიკიდგან: მარტივ წინადადების ნაწილები და ეტიმოლოგიიდგან სიტყვის ნაწილების გამოცნობა. (1—1)

---


იძლევა ქირით

**ს ა რ დ ა ფ ი**

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.




(12—10)


Дозв. ценз. Тифлисъ, 24-го Іюня 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.